# თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

22 სექტემბერი. გამოიცემა № 5 კვირაობით 1885 წელსა.

### ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.

ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი (3) შაური.

ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრიქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

### ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლიშვილთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Театръ“.

კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.




ზემო ნაწილი ქუთაისის ქალაქისა რიონის ნაპირებზე. ხეზე ამოჭრილი გ. ტაჭიშვილისაგან.

## წერილი მეგობართან.

—

ჩემო ლევან!

კაცს რომ გულში ნაღველი ჩაუგუბდება, მას ექიმი ვერ გაჰკურნავს, მისი მკურნალია მხოლოდ კარგი ამხანაგი. და მეც, ჩემო მეგობარო, ამ მწუხარების დროს, შენს მეტ მკურნალს ვერავისა ვხედავ. მინდა, შენ გაგიშალო ჩემი ნაღვლით ავსილი გული და გიჩვენო ის წყლულები, რომლებიც მოულოდნელმა, უბედურმა შემთხვევამ ჩასახა ჩემს მკერდში. ჩაიხედე ჩემს გულში, ლევან, და მასვე სამკურნალო წამალი იმედისა, თორემ უიმედო კაცის ცხოვრება მეტად საცოდავი რამ ყოფილა. ხელი შეუბრუნე ჩემს დაუძლურებულ სულსა დაგრძნობებს, რომ შემდგომისათვის ისევ მხნეთა და თავ-განწირულად გამოვიდე ასპარეზზე ცხოვრებასთან საბრძოლველად...

ჩვენ მოგვიკვდა, ლევან, საერთო საყვარელი მეგობარი! ჩვენ მოგვტაცა იგი სასტიკმა სენმა.

გუშინ საღამოს მეტად უსიამოვნოდ შევიქენი. გულზე რაღაც სევდა მეკონებოდა და სული უჩვეულებრივოდ მიშფოთავდა; წინასწარ-გრძნობები მწუხარესა და გამოურკვეველ სურათებს მიხატავდენ თვალწინ. მრწამდა რომ საბედნიეროდ არ ალრინდა და აშფოთდა ჩემი გული და გონება, მაგრამ განგებისაგან ასე მკაცრად დასჯას როგორ ვიფიქრებდი!.. ღამეც კი რაღაც ნაღვლიანი დადგა. ცივი ქარი გაავფთრებულად უბერავდა და ჩემი ბუხრის მილში მისი ქვითინი და მოთქმა გულ-დამწველად ჩამოისმოდა. ფანჯრებს საცოდავად შემოღმუოდა გრიგალი, თითქოს სახლში შეშვებასა თხოვილობსო. მეც ძილი გამიტყდა; მთელი ღამე თვალი არ დამინაბავს; გულში რაღაც უიმედობა ჩამესახა და ბუნდოვან ფიქრებში გავერთე. იმ ფიქრებში მე ვზომავდი ჩემს წარსულს, ჩემგან გამოვლილ გზას; ვცდილობდი გამომეკვლია, თუ რა გავაკეთე და რით ალვბეჭდე დღემდე ჩემი ნავალი. მაგრამ ჩემი წარსულისა და ნავალის კვალიც აღარსად სჩანდა. მხოლოდ ამ დროს მაგონდებოდა ის ნაღველი და ჭმუნვა, რომლებიც გულზედ ისრად მასვიან და რომელნიც უნდა იყვნენ იმ ჩემი წარსულის ნაყოფები.—

ბევრი ვიფიქრე ასე უნუგეშოდ და ბოლოს მიმეძინა.

დილა იყო. როცა გამოვიღვიძე, რაღაც შავი არშიიანი წერილი გადმომცეს; წავიკითხე და გულზე მწვავე ელდა მეცა: მოჰკვდაო!.. მოჰკვდა, სამუდამოდაო!..

ოჰ, რამდენი ადამიანის ფიქრი, რამდენი კაცის გულის თქმა ჩაიტანა მან სამარეში! პირველად, როცა კეთილისა და ბოროტის ერთმანეთისაგან გარჩევა შევსძელი, მას განვუცხადე მეც ჩემი გულის პასუხი.

თუ ის ყოველთვის სწორ გზას ვერ ადგა, ამის მიზეზი იყო მხოლოდ ის საზოგადოება, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა და გზა კვალს უბნევდა განსვენებულს. მათმა უზრუნველობამვე უდროვოდ ბოლო მოუღო საცოდავს.

ნახვამდი, ჩემო ლევან! წერას აღარ ვაგრძელებ. მე მაგონდება პოეტის სიტყვები:

> ეს შურიანი ქვეყანა
> ხარბი და უმადურია:
> პირველად იმას გასწირავს,
> ვინც გულით ნამსახურია.
>
> მოჰკლავს და შემდეგ სიკვდილის
> იგლოვს მას თვალთ-მაქცურადა;
> დევნულს დამარხავს პატივით
> და ღარიბს დიდ-კაცურადა.

შენი ძველი მეგობარი ზაზა.

## ლ ე გ ე ნ დ ა

ვუძღვნი მის უგანათლებულესობას თ. გ. მ. შარვაშიძეს.

(დასასრული *).

### IX.

— ჰა, გამოცანა! მაგრამ იცოდე
მის მცნობი ჯერ არ დაბადებულა.
ღმერთს გეფიცები, შესაბრალი ხარ,
რომ გამცდარ ხარ და გასჯილხარ ტყუილად!
მღივს დაასრულა მან ეს სიტყვები;
ნასა სურათი გასაკვირველი,
გლახაამ ძაძები შორს გადასტყორცნა,
დარჩა ჭაბუკი გასაოცელი!
მისი აწერა არ შემიძლია.
მელანი ვლვარო უბრალოდ რაზე?
ვფიცავ, მკითხველო, ამ გვარი წყვილი
არ იშობა დედა მიწაზე.
ქალი შიშისგან ვეღარ დამაგრდა

*) იხილე „თეატრი“ № 2 და 4.

და მუხლ მოჭრილი დაეშო სკამზე.
გამოისკდა.—იგივ ჭაბუკი,
როგორც მზის სხივი, ადგა მას თავზე.
ნეტავ საიდამ არს გამოგზავნილი?
ედემიდგან თუ ჯოჯოხეთიდგან?
სდგას, ვით ალვის ხე, და ცეცხლი ფრქვევით
გადმოელვარებს მის თვალებიდგან.
სდგას და დასცქერის თავის სამსხვერპლოს,
თითქო დარჩაო მას გამარჯვება;
თითქო სწყურია, როგორც ბოროტ სულს
იქვე წასწყმიდოს უმანკოება.

## X.

„ქმარა!"—შესძახა მან კისკასის ხმით,
გამარჯვებისგან გახარებულმა,
და მეტის-მეტი სიამოვნებით
გრძნობათ ღელვისგან გაგიჟებულმა;
„მბ კერპი არის ის წმინდა გრძნობა,
«რომელიც ჯანს სძენს კაცობრიობას;
«ჭკვას ავარჯიშებს და სშირადაცა
«უახლოვდება გენიოსობას.
«გრძნობა, რომელიც კაცს კაცად ხდის,
«დაუმორჩილებს ქვეყნიერებას,
«ბუნებისადმი საბრძოლელათა
«ადამიანსა ამლევს გონებას.
«გრძნობა, რომელიც დიდ გმირებთა ჰშობს,
«ქვეყნის ბედ-იღბალს ხელით ატარებს,
«დასაბამითვე მსოფლიოს მართავს,
«თავის მეტოქეს არ გაატარებს!
«დიდ-ძალი ნიჭი, რომელიც შენა
«დღეიდამ გტოვებს, გაგესალმება.
«რომელიც შენც თავს მე დამიმონებს
«სახელ წოდებით: ნიჭიერება!"
შემდეგ ამისა ქალს ჩაეკონა,
მთრთოლვარ ტუჩებზე მას ამბორ ჰყო,
ხოლო ამ კოცნით ღონე მიხდილი,
მზეთ-უნახავი მოწამლულიყო.

## XI.

ხალხს ესლაც ეს სწამს: „მზეთ-უნახავსა
საუკუნოთა მიეძინაო,
ვიდაც ჭაბუკმა ეშმაკის ძალით
შეურყია მას მუდრო ბინაო".
რა რომ კაცისა მცირედმა ნიჭმა
ვერ გამოიცნო ის გამოცანა;—
ის უცხო კაცი ეშმაკს შეეკრა
და თვისი სული თან გაატანა.
ნაცვლად ამისა ბოროტმა სულმა
ხელში ჩაუგდო იგი ქალწული,
და იმ დროიდამ წმინდა სავანე
შეიქმნა ამათ შეგინებული.
ესლა ღამეში ბნელს და წყვდიადში
მთაზედ ვარსკვლავებ რაღაც ანათებს.
კოშკის სარკმელში გარდმოშვებული
ლამპრისა სხივი თურმე გაშვაშებს;
დაუქრობელი იმ ლამპრის სხივი
უდგია მტკიცედ იმ მძინარ ქალსა,
არ გაქრებაო სანამ მშველელი
არ გაუჩნდება მზეთ უნახავსა!
როს ამირანი ჯაჭვებს დალეწავს,
იმ ქალსაც მაშვინ ეშველებაო.
იგი ბოროტი, ის მატყუარი,
სამაგალითოდ დაისჯებაო.

## XII.

თურმე მას აქეთ კარგა ხანია,
რაც ეს ადგილი შეჩვენებულა,
და მშვენიერი მდებარეობა
ბოროტის სახლად გარდაქცეულა.
რამოდენიმე ათასი გემი
მთის ძირში წყვდიადს გასტუმრებულა,
და მონადირე მუნ შესვეწილი
უკანვე აღარ დაბრუნებულა.
დღესაც ამბობენ მოხუცებულნი:
«უმაწვილ კაცებმა ბედი სცადესო,
«მაგრამ იქ დარჩენ და აქამდისინ
«ანბავი ვეღარ მოიტანესო.»
ესლაც შორიდამ შესცქერიან მთას,
მის მწვანე კალთებთ მშვენიერებას.
ბედისა ცდასა არვინ დაეძებს;
ვეღარვინ ბედავს კანდიერებას.
მხოლოდ ხანდისხან ამ მთას, ამ კოშკსა
ნისლი დახურავს, ზე დააწვება.
ან ფრინველებთა მეფე არწივი,
წრეების ხაზვით თავზე ევლება,
და სშირადაცა მთვარე სხივ-სროლით
ნათელსა მორწყავს მთისა კალთაზე;
ანუ ბორრეი გარისხებული
მაღლა ღრიალებს ათას გვარ ხმაზე.

რ. ალისუბნელი

23 თებერვალს 1885 წ.

## მურა დაითხოვეს!

(შემდეგი *).

### თავი II

„ძაღლური“ სამსახური მურიასი.

მოაწია შუადღემ და კარგად გამოფერდილმა საქონელმა გამოსწია წყლისკენ. გოგია და მურა წინათვე წამოვიდნენ წყალზედ, რადგანაც იცოდნენ რომ საქონელი თვითონ ჩამოვიდოდა იქ. მივიდნენ ორივენი მცხეთაში გამოსასვლელად სწორედ იმ ფონთან, რომელზედაც დილით გავიდნენ.

დილანდელი ყვითელი წყალი ესლა შავად მოდიოდა.

— „დიდება შენთვის ღმერთო!“ სთქვა გოგიამ, როცა იგი მოვიდა წყლის ნაპირთან და ჩააზომა თავისი კომბალი წყალში; „დიდება შენთვის, ღმერთო! რანაირად დაუსრამავს, და რანაირად უმატნია ამ ტიელ წყა...“

უკანასკნელი სიტყვის თქმა აღარ დასცალდა გოგიას და ერთბაშათ დაიკარგა იგი....

მას საშინელის სრიალით გამოეცალა ფეხებიდგან ქვიშა და გოგია ყირამალა ჩავარდა არაგვში და მინამ ის გონზედ მოვიდოდა თუ რა ემართება მას, იგი ერთი სამი-ოთხჯერ ზედი-ზედ ჩაყურყუმელავა და მერმე დაოსებული ამოაგდო შიგ შუა წყალში.

— „ოხ! შე ტიალო ტანისამოსო“, გაჯავრებული წარმოსთქვა მან, როდესაც დაინახა, რომ თავისი მშვენიერი ცურვა ვერაფერს შველოდა და მუსის ნედლი ნაფოტივით ნელნელა ძირს მიჰქონდა ის.—„ოხ! შე ტიალო ტანისამოსო!“

— „ნუ თუ მართლა უნდა დავიხრჩო?“ ეკითხებოდა თავის-თავს გოგია, ეკითხებოდა იმ გვარად, როგორც ეკითხება ხოლმე დევივით და სიცოცხლით სავსე ვაჟ-კაცი უეცრად წამოქცეული სიჭლექისაგან. ყველას მოივიქრებდა დევი ვაჟ-კაცი, მაგრამ იმას, რომ ის მოკვდებოდა სიჭლექისაგან — იმას აზრათაც ვერ გაიტარებდა. ყველა ნაირ სიკვდილს მოიფიქრებდა გოგია, მაგრამ თავის დღეში გულში როგორ გაიტარებდა არაგვში დახრჩობას ასეთი მშვენიერი მცურავი?

გულში ვერ გაიტარებდა და ესლა კი ხედავდა, რომ საშველი არსაიდამ არ იყო და თან-და-თან მღვრივე და მყრალი წყლისაგან ის ჰკარგავდა გონებას და ებლანდებოდა თვალები, უახლოვდებოდა ყველაზედ უსიამოვნო სიკვდილს—დახრჩობას.

უნებლიეთ მან მიიდო შუბლზედ ბრძოლისაგან დაღალული ხელი პირჯვრის გამოსახატავად, იმის სახემ გამოსახა საშინელი მწარე ღიმილი და იქ, სადაც გაშმაგებული არაგვი ხვდება და როგორც კაი ფალავანდი, ჰხვევს თავის მძლავრს ხელს დარბაისელს მტკვარს, იქ, შესართავში მებრძოლე ტალღებმა ჩაიტანეს გოგია ძირს. წყლის სიღრმეში რამოდენიმე ხანის შემდეგ მას დაეჯასა რაღაცა ერთბაშად და იმ აზრმა, რომ ეს უზარმაზარი ლოქოა საშინელი ქრიანტელი მოსდო მის ტანს; ამ ქრიანტელმა ერთი უკანასკნელად კიდევ გააფათურებინა ხელ-ფეხი და ამის შემდეგ გოგია სრულიად დამხრჩვალი იყო. მასს აღარც ის გაუგია, როგორც საშინელმა ლოქომ სტაცა პირი და დიდის გაჭირებით წაიღო საითკენღაც... სწორედ იმ დროს, როდესაც გო-

*) იხილე „თეატრი“ № 2.

გია უახლოვდებოდა მტკვარს და ნახევარზედ დაოსებული იყო, საიდღამაც გაისმა ხმა: ,,ჰაჰი — ე..ე..ე..ე!!! უშველეთ, ქრისტიანებო, კაცი იხრჩობა, კა—ცი....!“

გაისმა ეს ხმა და მცხეთელების ბანები უეცრად მოიფინა კაცებით და დედაკაცებით.

— ,,სად არის, ბიჭო, ჩვენი ზაქარა? რა იქმნა ჩვენი ზურაბა?“ და სხვა ამნაირი კითხვები აშალეს გამწარებულმა დედაკაცებმა, და მხურვალედ ევედრებოდნენ კაცებს გადაერჩინათ სიკვდილისგან მათი ზაქარა, ზურაბა და სხ... ასე ყოველი გულჩვილი კაცი იმიტომ უფრო არის შემბრალებელი, რომ ყოველ გაჭირებულ კაცში ხედავს თავის-თავს და ბავშვში — თავის შვილს.

მაგრამ ტყუილი იყო დედაკაცების ხვეწნა. კაცები გაშტერებულნი უცქეროდნენ დამახრჩვალს და თან იხდიდნენ ტანისამოსს; ტყუილი იყო ხვეწნა იმიტომ, რომ ორიოდე წამის შემდეგ გოგიას შეიტანდა შესართავში; შესართავზედ იყო დამოკიდებული გოგიას ბედი: თუ იქ არ დააბამდა მას წყალი და წაიღებდა ქვევით, ის გადარჩენილი იყო სიკვდილს, თუ არადა მისი საქმე გათავებული იყო. ეს ძალიან კარგათ იცოდნენ კაცებმა და მათ გასტერებულს თვალებში ელავდა უძლურების ცეცხლი. პატარა ხანმაც განვლო და ყველას, ვინც იქ იყო, ამოჰვარდა გულის მომწყვეტი კიჟინი! ის, რასაც ელოდნენ კაცები, აღსრულდა: ჩაიტანა თუ არა გოგია წყალმა შესართავში, მას დახვდა იქ მორევი, რომელმაც, როგორც მკითხველმა უკვე იცის, ჩაისვია ძირს...

სწორეთ მაშინვე და იმათვე დაინახეს, რომ ერთი დიდი ოთხ-ფეხი მეორე ნაპირიდან გაათრებული გადახტა მორევში და ჩაიჭრა იმ ალაგას, სადაც გოგია ჩაიტანა წყალმა; რამოდენიმე ხანის შემდეგ ყველანი ხედავდნენ, როგორც, კარგა ქვევით იმ ალაგზედ, სადაც ოთხ-ფეხი და კაცი დაიმალა — ძაღლს ჩაეკიდნა პირი კაცისათვის და დიდის გაჭირებით მიჰქონდა ცურვით იმ პატარა კუნძულისკენ, რომელიც შესართავს ქვემოდამ ამ ორ შეერთებულს წყალს ჰყობს ორ დიდ ტოტათ. შედგა თუ არა ოთხ--ფეხმა წინა ფეხები მშრალზედ, მეტის მეტი დაღალულობისაგან დაბარბაცდა და დაეცა ზედ თავის პატრონს.

დაინახეს ყველა ესე მცხეთელებმა და გაეშურნენ კიდეც მათკენ: რვა დატიტვლებული, თავზედ წითელ პერანგებ შემოხვეული მცურავი გადავარდა მტკვარში და დინჯის მკლავურის მოსმით გაეშურა კუნძულისკენ.

ადვილათ მიხვდებოდა მკითხველი, რომ ის ოთხ-ფეხი მურა იყო. წყალზედ ჩამოსვლის დროს, მურა ცოტას ხანს გაერთო რიყეზედ და როცა პატრონი მოაგონდა, ძალიან გაუკვირდა, რომ ის არსად არა სჩანდა და პატარას ხანს გაჩერდა ისე, თითქოს თავის თავს ეკითხებაო: ,,რა ვქნა, ი კაცი ასე მალე სად ჩაიყლაპაო“, როგორც უცებ იმის ყურადღება მიიქცია წყალმა; იმან გააყოლა იმის ზვირთებს თვალი და მალე შეამჩნია, რომ ქვეით წყალს რაღაცა მიჰქონდა. მისმა გულმა მალე იგრძნო, რომ ის უნდა ყოფილიყო პატრონი და გაჰკურცხლა კიდეც მისკენ, მაგრამ ჯერ ის კიდევ შუა გზაზე იყო, როცა გოგია ჩაიტანა წყალმა. ნაპირთანაც მალე მიაწყია მურიამ — იქიდამ მალე ჩახტა წყალში და დაიწყო წყლის სიღრმეში პატრონის ძებნა; ბევრი ხანი ვერ

დაჰყო იქ ძაღლმა. ის იძულებული იყო მალე ამოსულიყო ჰაერის ჩასაყლაპათ. რამდენიმე ხანის შემდეგ, ის ისევ წყალში იყო და ახალი ძალით ეძებდა თავის პატრონს. ბევრი იტრიალა იქ მურამ, ბევრი ეძება, — მაგრამ ამ დროს მას აყლაპა წყალი და ამის შემდეგ მისი დარჩენა წყალში შეუძლებელი იყო. სევდიანმა და გულ-დამწვარმა მურიამ გამოსწია ზევითკენ. ბევრი აღარა უკლდა-რა წყლის პირზედ ამოსვლას, როგორც მის სახეს რაღაცა სხვა ნაირი ტალღა მოხვდა და ამ ტალღამ ეჭვი მოჰგვარა, რომ პატრონი აქ სადმე ახლო უნდა იყოსო; ფიქრი და აცხადება ერთი იყო. იმან მალე ჩაავლო გოგიას ტანისამოსში პირი და, როგორც მკითხველმა იცის, გაატანა კუნძულზე. გასვლისათანავე მცურავებმა დაჰკიდეს გოგია თავდაყირა და მუშტებით დაუწყეს ცემა გულში. რადგანაც ის ახალი დასრჩობილი იყო, წყალი მალე წამოსქდა პირიდან და მობრუნდა კიდეც. მცურავებმა ამოიტანეს ის ზევით და პირველივე მგზავრის ნაბადში გახვეული წამოიღეს შინ. მურია? მურია დაავიწყდათ; ის ყველას თვალში ისევ უბრალო ძაღლი იყო და ამის შემდეგაც კი ,,მისმა კაკალმა არ დაიწყო ჩხრიალი''. ერთი საათის შემდეგ ის თავის თავათ მობრუნდა და წყნარის ნაბიჯით და მწარე ფიქრებით გაეშურა თავის პატრონის სახლისაკენ. ტყუილი არ იქნება ვსთქვათ, რომ ასეთი უყურადღებობა მას იმავე ღამეს დაავიწყდა და მეორე დილას ის ისეთივე მეგობარი იყო ყველასი, როგორც ყოველთვის.

ი. რევიშვილი.

(შემდეგი იქნება)

## მკვდრების სიცილი.

(ჰაზრი ნასესხებია).

ერთს სოფლის პირას, მაღალ მთის ძირას,
სჩანს სასაფლაო დავიწყებული,
და შიგ ტაძარი სდგას,—გულსაზარი
ფიქრისგან შორეს გატაცებული.
იქ ჩვენი ძველნი, აწ უშფოთველნი,
სამუდამ-ჟამოდ განისვენებენ
და შვების წასრულს, უკვე დაკარგულს,
ისინი ველარ გაიხსენებენ...

ამ მყუდრო ადგილს ზაფხულის ღამეს
შეყვარებულნი იკრიბებოდენ
და მიჯნურობის პირველ სიამეს
ჰყნოსავდენ, ტრფობის ცეცხლით სტკბებოდენ;
სიკვდილის დღემდე მუდმივ კავშირზედ
ერთი-ერთმანეთს ეფიცებოდენ,
და მიყრდობილნი კუბოს ნაპირზედ,
მკვდრები სიცილით იხოცებოდენ...

აქ ითხრებოდა ერთს ღრუბლიან დღეს
აქვე შემცდარი ქალის საფლავი
და აგოდებდა მდუმარ კლდეს და ღრეს
მესაფლავეთა ხმა გულ-საკლავი.
კუბოს გვერდთ უდგა ცრემლისა მღვრელი
მშობელი, შობილს თავს ადნებოდა:
—„ოჰ, სად არისო დღეს შენი მკვლელი?!"—
გულ-ამოსკვნილად ეკითხებოდა.
მაგრამ შობილის მკრთალი ტუჩები
ერთი-ერთმანეთს შესწებებოდენ,
და საფლავებში დიდი ხნის მკვდრები
ისევ სიცილით იხოცებოდენ.

ცახელი.

## „თეატრის“ კორრესპონდენცია.

ს. ქვემო-ჭალა ენკენისთვის 10-ს.

თიბათვე-მკათათვის საშინელი გვალვის გამო წრეულს პურის მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო; მაგრამ სამაგიეროთ შესანიშნავათ ასხია ვენახს. იმ ვაზს, რომელსაც სარი არ ჰქონია მიდგმული, ტევნების სიმძიმით მოუმტვრევია ძველი სარი და დედამიწაზედ წევს. ეგრეთვე შესანიშნავი ნავარგების მთელს ხეობაზედ კომბოსტო და ბლომათაც მისდევენ აქეთ ამ მცენარის თესვას, (განსაკუთრებით მებაღე იმერლობა) და არც ზარალდობენ, რადგანაც რკინის გზის «სტანციაი» (კასპი) ახლოს არის და თბილისში ადვილათ ახერხებენ წაღებას.

თუმცა აქ უხვი მოსავალიც იცის და ტყეც არ ეშორებათ ძლიერ, მაგრამ ძვირათ თუ სადმე შესვდებით იმისთანა ლატაკს გლეხობას, როგორც აქაური გლეხობა არის. უმეტესი ნაწილი აქაური თავად-აზნაურობისა არა ვითარ მუშაობას არ ეწყობა. ამათ უზრუნველობაზედ ორი რამ უნდა იფიქროს კაცმა: ან თაკილობენ მუშაობას და ან მომზადებულნი არ არიან მისთვის. ჩვენის აზრით, ეს უკანასკნელი უფრო მართალი უნდა იყოს, თორემ მუშაობის თაკილი ამ განათლებულ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ხომ ველური უმეცრება იქნებოდა!

ნუღარ ვიტყვით უმეტესის მამულებზედ იმ ხსვილ ვალებს, როგორიც არის ბანკისა და «პრიკაზის» და ავიღოთ წვრილი მოვაჭრეები, რომელნიც ყოველ კვირაში ჩამოუთარეშებენ «აღმასრულებელის» ფურცლით, უწერენ და უყიდიან უძრავ-მოძრავ ქონებას....

ამისთანა შევიწროებულს მდგომარეობაში უმეტესი ნაწილი, ვითომ, განათლებული მანდილოსნებისა, იმის მაგიერ რომ დაიცვან მტკიცედ ძველი ოჯახის ზნეობა და დაამყარონ ოჯახის დიასახლისობა მკვიდრ ნიადაგზედ, გამუდმებულ ლოტოს თამაშში ატარებენ ღამეებს და აგებენ თვითოეულ ღამეში რამოდენიმე მანათობით, რომელშიაც, შეიძლება, მცირე ხანს შემდეგ ასი იმის საფასე მამული წაერთვასთ...

დიახ! თუ თავად აზნაურობა თავის შესაფერ მუშაობას არ შეუდგა და სათავსო საქმეებს მედგრად არ მოჰკიდა ხელი, მაშინ ადვილად მოსალოდნელია, რომ ის მამულებიც ხელიდგან გამოეცალოსთ, რომლითაც დღეს რის ვაი-ვაგლახით იბრუნებენ სულს! და უმამულობას რა შედეგიც მოჰყვება—თითონ დაიფიქრდნენ...

ელვა.

## თეატრი და მსახიობნი (აქტიორები)

ძველი, საშუალო და ახალი დროისა

(შემდეგი *).

სკავრმა დაანგრია სიცია—სამშობლო სკულპტორის ლისიპპისა თავის თეატრის შემკობის გულისათვის; სკავრმა დასდგა მის სცენაზედ 360 სვეტი, რომელიც მან მოიტაცა დაპყრობილი მხარედამ და სამ რიგად ჩაამწკრია სამშობლო მოედანზედ. პირველი რიგი წარმოადგენდა მარმარილოს სვეტებს, მეორე კი—ბრმოლისას. სვეტებ შუა იდგა 3000 სტატუია. ყველაზე პატარა თეატრი რომში იყო მარცელისა, მაგრამ ისიც კი იტევდა 22,000 კაცს. ხოროსათვის ალაგი რომში გაუქმებული იყო; ეს ალაგი დაეთმო სენატორებს და სახელმწიფოს პირველ პირებს. რომაელნი არ კმაყოფილდებოდნენ ბერძნების ხელოვნური და მშვენიერი ნაწარმოებებით და უფრო თავიანთგან გამოგონილი მიმებით და პანტომიმებით შეიქცევდნენ ხოლმე თავს. ეს პიესები იყვნენ მუდამ მოკლე, გალექსილნი და ძალიან მიაგვანდნენ ჩვენი დროის ფარსებს. იული ცეზარის დროს ეს პანტომიმები ცოტა რიგიანნი იყვნენ, მაგრამ შემდეგში მას შეერია ბევრი უწმაწური სიტყვები. იული ცეზარის დროსვე მიიღეს მონაწილეობა დრამატიულ წარმოდგენებში ქალებმაც და ეს ამბავი დიდი ნაბიჯის გადადგმა იყო სათეატრო საქმეში. ლათინთ მწერლები ასახელებენ ორ მსახიობ ქალს, დიონისიას და ფებას; პირველს ამათგანს ეძლეოდა 200,000 სესტერცია (50,000 ფრანკი) ჯამაგირი.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომაელების პიესებში ტექსტიც სრულიად დაიკარგა და შეიცვალა მარტო სახის მოძრაობით (მიმიკით). ამ წარმოდგენების შინაარსი აწერილი იყო ბერძნულს ენაზედ Librette-ებში; ეს ლიბრეტები ურიგდებოდათ მაყურებლებს, განსაკუთრებით დიდ კაცებს. ხორო ბერძნულად მღეროდა და მას ბანს აძლევდა მუსიკა; ეს მუსიკა შესდგებოდა ზუკებიდამ (ესპანდელი სამხედრო მუსიკა), მხოლოდ ცეკვის დროს მიემატებოდა ხოლმე შემდეგი საკრავები: პსალტერი, სირიული არფა, ციმბალები და კროტალები. მიმიკური

*) იხილე „თეატრი“ № 2.

წარმოდგენები, რასაკვირველია, არ უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოების ზნეობითის მხარის შემნახველნი, თუ კი ტიბერიიმ საჭიროდ დაინახა მათი აკრძალვა.

იმპერატორმა ნერონმა აღადგინა ისინი და თვითონაც სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში. ნერონი, როგორც ვიცით, თავის თავს გამოჩენილ მსახიობად, მომღერლად და ლიუტნის და ლირის დამკვრელად სთვლიდა. მის სიმღერას, თამაშს და გალობას მოსდევდა თან სხვა-და-სხვა ნაირი სახის მოძრაობა. სვეტონი ამბობს, რომ პირველად ნერონი ნეაპოლში გამოვიდა სცენაზე და თუმცა ისეთი მიწის ძვრა იყოვო, რომ ძალიან დააზიანა თეატრი და სახლსაც დააშინაო, მაგრამ იმან მაინც დაათავა დაწყებული არიაო. ნერონს აწერენ აგრეთვე კლაკიორების გუნდის დაწესებას. ამ თანამდებობას ასრულებდა 5000 დაბალი წოდების ლამაზი და ღონიერი ყმაწვილი კაცები, რომელნიც ყოველთვის ატარებდნენ თავზედ გრძელ თმას და ვერცხლის რგოლს მარცხენა ხელზედ. მათ უფროსებათ ინიშნებოდნენ ახალგაზდა მხედრები; კლაკიორების უფროსი იღებდა წელიწადში 40,000 სესტერციას (10,000 ფრანკს, ანუ 2500 მანათს) ჯამაგირს; ნერონის დროს თეატრში მაყურებლები ძალიან ფრთხილად უნდა გასჯილიყვნენ ტაშის დაკვრის დროს. იმპერატორის მობრძანებას ყოველთვის აცნობებდნენ ხოლმე მაყურებლებს; ჯარის კაცნი მიემხრებოდნენ ხოლმე კლაკიორების ტაშის კვრას და სთხოვდნენ იმპერატორს ემღერნა. პრეტორიანების უფროსი მიართმევდა ხოლმე ნერონს არფას და ვიცე-კონსული აუწყებდა ხალხს ასასრულებელს პროგრამმას. ვინც უნდა წარმოედგინა იმპერატორს, ის მაინც მასკას იკეთებდა, რომ შეცდომით სხვა ვინმე არა ჰგონებოდათ. ის მალ-მალ მოგზაურობდა ხოლმე იმ აზრით, რომ ქვეყნისთვის ეჩვენებინა თავისი არტისტიული ნიჭიერება და ყველგან ამარცხებდა თავის მეტოქეებს და ერთხელ საბერძნეთამდინაც კი მივიდა. იქიდამ რომში დაბრუნდა ავგუსტის სატრიუმფო (საპატივო) ეტლით. თავზე ეხურა ოლიმპიის გვირგვინი, ტანზე ესხა ალისფერი მანტია, გარშემორტყმული კლაკიორებით, რომლებსაც მოჰქონდათ დამსახურებული გვირგვინები.

(შემდეგი იქნება).

## ხალხური ლექსები

შეკრებილი ქართლ-იმერეთში სოსიკოსაგან.

ყანა ვარ, ყანა ყამირი,
კორძი ვარ გაუტეხავი,
ქალი ვარ ძუძუ-კოკობი,
ბიჭისგან მოუდრეკავი.

—

ნეტავი გოგო დედაშენს,
რომ გაუზრდიხარ შვილათა;
არც გინდა პირის დაბანა,
არც უმარილი სშირათა.

—

შენი ჭირიმე, ლამაზო,
რა ყური დაგიგდიაო,
ჩაგიკეტნია კარები
ურდულიც გაგიყრიაო.

—

სიყვარულსა მალვა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარევსა,
გამოჩნდება—-გლოვა უნდა,
როგორც კარგსა საყვარელსა.

შეკრებილი ქვემო-ქართლში, ი. დ—საგან.

ქალო ეგ რა შემოგიკრავს,
შუბლი დაგიმშვენებია—
ჩემი გული შენ მოგიკლავს,
სხვისა გაგიმთელებია.

—

ჭალაშია დამეძინა,
დამეხვია კოლოები,
ნეტავი დამაკოცნინა
ატენელი გოგოები.

—

ღმერთმა ჰქმნას სვეტიცხოველმა,
მცხეთას აშენდეს ქალაქი,
დუქან ბაზარი დამართონ,
თავსა გვპარსავდეს დალაქი.

—

დაბრუნდი თუ დაბრუნდები,
ვით ხარატული ჯარაო,
მშობელი შენი ვაცხონე,
გამზდელი შენი ლალაო.

# შინაური ამბები

◆◆ „დროების“ გამომცემლის გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზე რედაქციაში მიღებულ იქნა კავკასიის ცენზურის კომიტეტისაგან შემდეგი ცნობა:

„უმაღლესის მთავრობის განკარგულებით გაზეთის „დროების“ გამოცემა ცენზ. წესდ., მე-XIV ტომ., 1873 წ. დამატ. 52 მუხლ. შენიშვნის ძალით (დამატ. 1876 წ.), სრულიად აღკრძალულ იქმნა.“

ცნობები მქონის

## „საქართველოს გაზეთიდამ“.

ნოემბრის ზ დღესა ჩუით წელსა თფილისში.

## Ho. 36.

გამოცხადებანი *).

ხელწერილი და თეთრი მიღებულ იქმნებიან ამ ნოემბრის თვის ათხუთმეტის რიცხვითგან აქ კორპუსის შტაბის სახლსა შინა; სადაცა გამართულარს სტამბა, ყოველდღე დილის ცხრას საათითგან შუადღის შემდგომად ხუთს საათამდის; და სხვათა ქალაქთა და ადგილთა მცხოვრებთა ძალუძსთ მისწერონ და თეთრი მისცენ უფალთა ოკრუგნისა და სხვათა კერძოობითთა ნაჩალნიკთა იქა ვინ სადაცა მახლობლად იმყოფების.

---

ისპოლნიტელნის ესპედიციისაგან მოწოდებულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან ისინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვის დადებულნი არიან საქვეყნოს გასასყიდად.

---

*) იხილე „თეატრი“ № 4.

ა.

გორის უეზდის სოფელს დავრის მცხოვრები ბარძიმ მაჩაბლოვის ყმა დათუა კვალენიძე თავისის ცოლით ვაჟისა და ქალის შვილებით, ძმის წულით ნინიათი და ვენახით იმ ას სამოც და სამს რუბლს თეთრში, რომელიც ჰმართებს მას აზნაურის გაბაშვილის ქალის ელისაბედისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ამ წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ე და კ. რიცხვებში.

ბ.

თელავის უეზდის სოფელს ფიჩხავანს მცხოვრები რვა კომლი ყმა ლუბერნსკის სეკრეტრის ნათალოვისა იმ ათას ას ოცს რუბლს ვეცხლის ფულში, რომელიც ჰმართებს მას ლუბერნსკისავე სეკრეტრის თავადის მელიქზადა ბებუთოვის. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ამ წლის ნოემბრის ი, და კ. და დეკემბრის იზ. რიცხვებში.

გ.

დუქანი თბილისის მცხოვრების იაკობ აბი მელიქოვისა თბილისის ქალაქის მეორეს ჩასტის პირველს კვარტალში მდგომარე იმ სამასის რუბლის ვეცხლის ფულის ვალში, რომელიც ჰმართებს მას კანცელარისტის აივაზოვისა. იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ნოემბრის იე და კთ; და დეკემბრის იე რიცხვებში.

---

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.



# განცხადებანი

ყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

# „თეატრი“

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ-და-პირი თავის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, «თეატრი», ჩვენ ლიტერატურასაც თვალს ადევნებს. დრო გამოშვებით «თეატრ»-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრ»-ს აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი «თეატრი-»სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (**5**) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (**3**) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

ხელ ს მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში—მმ. ჭალაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ“.

---

გაგრძელდება ხელის მოწერა გაზეთ

**„თბილისის განცხადებაზე“.** ბარიატინსკის ქუჩ. ბელოის-სეულ როტინოვის სახლში.

---

მიიღება ხელის მოწერა 1885 წლისათვის
ქართულ სასულიერო გაზეთს

**„მწყემსზედ“**

და „მწყემსი“-ს რუსულ თვიურ დამატებაზედ.

ფასი მთელი წლის გაგზავნით —**5** მან.
ნახევარი წლის— — — — — —**3** მან.

რუსული თვიური დამატებით

ერთი წლისა — — — — — —**6** მან.
ნახევარ წლისა — — — — —**4** მან.

ცალკე რუსული დამატების

ფასი წლის — — — — — —**3** მან.
ნახევარი წლისა — — — — —**2** მან.

გაზეთისა დაბარება შეიძლება ამ ადრესით:
**Въ Квырили, въ редакцію „Мцкемси“.**

---

სტამბა და წიგნის მაღაზია გრ. ჩარკვიანისა თბილისი

ისყიდება.

ქართ. ლექსიკონი საბა ორბელიანისა 4 მ.—
ვახუშტის ისტორია — — — 3 მ.—
გიორგი ერისთავის თხზულებანი— 2 მ.—
ქართ. ბოტანიკური ლექსიკონი — 2 მ.—
ვისრამიანი — — — — — —1 მ. 50კ.
თორნიკე ერისთავი პოემა აკაკისა 1 მ. —

და სხვა ყოველგვარი ქართული წიგნები.

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**ლექსნი**

თქმულნი ბესარიონ (ბესიკის) გაბაშვილისაგან.
ფასი 30 კაპ.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 22 сентября. Типографія Гр. Чарквіани. სტამ. გრ. ჩარკვიანისა.